საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის

ბრძანება №159/ნ

2019 წლის 5 აგვისტო

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების მიზნით საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის №220 საჯარო სკოლის დაფუძნებისა და ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ნ" ქვეპუნქტისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" საქართველოს 2018 წლის 5 ივლისის №3024 კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების მიზნით, დაფუძნდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის N220 საჯარო სკოლა.

მუხლი 2

„ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებით (სსმ III, 26.09.2005, №112, მუხ. 1233) დამტკიცებული №2 დანართის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოს – ქალაქ თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრს დაქვემდებარებული საჯარო სკოლების ცხრილს მე-13 გრაფის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-14 გრაფა:

„

14	ქალაქ თბილისის №220 საჯარო სკოლა	ცხრა ძმის ქ. №58	დაწ-საბ-საშ

".

მუხლი 3

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლების,
მეცნიერების, კულტურისა და
სპორტის მინისტრი **მიხეილ ბატიაშვილი**